ბიბლია სულიერი და მატერიალური ფასეულობების შესახებ

მეჩაბ მიქელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ძველი და ახალი აღქმის წიგნებში მოცემულია იდეები იმის შესახებ თუ რა უდევს საფუძვლად ეკონომიკურ გაცვლას და როგორია მატერიალური ფასეულობების მიწიერი ღირებულებები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მკვეთრად გამიჯნულია სულიერი და მატერიალური სარგებელი. პირველი, ფლობს რა შეუდარებლად უფრო დიდ ღირებულებას, არ შეიძლება იყოს ეკონომიკური გაცვლის საგანი. ეს უკანასკნელი, ეფუძნება რა შრომის დანაწილებას, აიძულებს ადამიანებს ემსახურონ ერთმანეთს ცოდვათ დაცემის შემდეგ. ყიდვისა და გაყიდვის გზით მიღებული მატერიალურ სარგებელს, სულიერი სარგებლისგან განსხვავებით, განსხვავებული ღირებულებები გააჩნია.

სულიერი განვითარება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ცოდვისგან თავის დაღწევა, თავმდაბლობა და მონანიებაა. იგი ასევე მოიცავს სათნოების ფორმირებას, გონების სრულყოფას, ცოდნის დაგროვებას, ესთეტიკური გრძნობების აღზრდას, ზნეობრივ სრულყოფას. გონება და გრძნობები, რომლებიც მიზნად ისახავს ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შეცნობას, აკეთილშობილებს ესთეტიკურ შესაძლებლობებს, ანათებს ადამიანის სულს, ქმნის პირობებს სხვა ადამიანებისთვის სიკეთის გასაკეთებლად. ამის საფუძველზე ყალიბდება ქრისტიანული სიყვარული - ქრისტიანული მორალის ფუნდამენტური პრინციპი.

საკვანძო სიტყვები: ღირებულება, მიწიერი ღირებულება, სულიერი ღირებულება, სულიერი სარგებელი, მატერიალური ღირებულება

მატერიალური სიმდიდრისა და სულიერი ღირებულებების შედარებისას ძველი აღქმის იგავებში აღნიშნულია, რომ სიბრძნის შეძენა გაცილებით უკეთესია ვერცხლისა და ოქროს შეძენასთან შედარებით:

„ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა!

რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი - ხალას ოქროს. მარგალიტებზე უფრო ძვირფასია და შენგან სანატრელი არაფერი შეედრება მას. სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია, ჭკუის მოხვეჭა ვერცხლზე - უმჯობესი.“ (ძველი აღთქმა, იგავნი სოლომონისა, თავი 3:13-15;16:16)

სხვა ადგილზე თითქმის იგივე აზრია დაფიქსირებული:

„ რჩეული სახელი დიდძალ ქონებაზე უკეთესია, კეთილი მადლი კი - ვერცხლზე და ოქროზე.“ (ძველი აღთქმა, იგავნი სოლომონისა, თავი 22:1)

ესაია წინასწარმეტყველი თვლიდა, რომ ყველაზე უფრო ძვირფასი და ღირებული სულიერი სიკეთეების მოპოვება უფასოდ შეიძლება და მათ „შესაძენად“ არ არის საჭირო შრომით მოპოვებული ვერცხლი **(ძველი აღთქმა, ესაია წინასწარმეტყველი თავი 55:1)**

ახალ აღქმაში აზრი სულიერი სარგებლის შეუდარებლად უფრო დიდი ღირებულების შესახებ, გაცილებით ხშირად გვხვდება. ევანგელისტებს მოჰყავთ იესო ქრისტეს სიტყვები იმის შესახებ, რომ რომ ერთი ადამიანის სული უფრო ღირებულია, ვიდრე ერთად აღებული სამყაროს ყველა მატერიალური სიკეთე :

„რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას და სულს კი წააგებს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?“ (ახალი აღთქმა, მათეს სახარება თავი 16:26 მარკოზის სახარება თავი 8:35-37); „რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას და თავის თავს კი დაღუპავს, ან წარწყმედს? (ახალი აღთქმა, ლუკას სახარება თავი 9: 25)

სულიერი სარგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ საჩუქრის საგანი. „უსასყიდლოდ მიიღე, უსასყიდლოდ გაეცი“ - ეუბნება მაცხოვარი მოწაფეებს იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელიც მათ მიიღეს მკვდრეთით აღდგომის, დემონების განდევნის და ავადმყოფთა განკურნების შესაძლებლობების სახით. ამ სიტყვების გაგება შესაძლებელია უფრო ფართო

გაგებით - როგორც ანდერძი ზოგადად ყველა ქრისტიანისთვის. მოციქულთა საქმენის წიგნში არის ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია სიმონის გულუბრყვილო მცდელობა ფულით ეყიდა სული წმინდა:

"როცა სიმონმა დაინახა, რომ მოციქულთა ხელდასხმით ეძლეოდათ სული წმიდა, ფული მიუტანა მათდა უთხრა: მეც მომეცით ეგ ძალა, რომ ჩემგან ხელდასხმულმაც მიიღოს სული წმიდა.

ხოლო პეტრემ მიუგო მას: ეგ შენი ვერცხლი შენთანვე იყოს წარსაწყმედად, ვინაიდან განიზრახე ფულით გეყიდა ღვთის ნიჭი." (ახალი აღთქმა, მოციქულთა საქმენი, თავი 8-18: 20)

ახალი აღთქმის ავტორები ასევე აღნიშნავენ სულიერი სარგებლის ისეთ მნიშვნელოვან თვისებას, როგორიცაა მათი თანაბრობა ყველასთვის. სწორედ ამაშია გადატანითი მნიშვნელობა იგავისა ვენახში სამუშაოდ დაქირავებული მუშების შესახებ, რომლებმაც სხვადასხვა ხანგრძლიობის სამუშაოში ერთი და იგივე ანაზღაურება - ერთი დინარი მიიღეს**. (ახალი აღთქმა, მათეს სახარება თავი 20:1-16);** პეტრე მიმართავს ქრისტიანებს: **„სიმონ-პეტრე, იესო ქრისტეს მონა და მოციქული, - მათ, ვინც ჩვენსავით მიიღო იგივე ძვირფასი რწმენა, ჩვენი ღვთისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სიმართლით" (ახალი აღთქმა, მეორე პეტრესი თავი 1 :1)**

ძღვნად ითვლება ასევე ნებაყოფლობითი ურთიერთმსახურება ღვთის სახელით, შრომით ან შრომის პროდუქტებით. ასეთი ურთიერთობა მატერიალურ სიკეთეს სულიერ სიკეთედ აქცევს, მაგრამ ის მოითხოვს ყველა მისი სუბიექტის სულიერი სრულყოფილების მაღალ ხარისხს. ამ იდეალს მიუახლოვდნენ იერუსალიმის ადრეული ქრისტიანული საზოგადოების წევრები, რომლებმაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოახერხეს საზოგადოების შიგნით ეკონომიკური გაცვლის გაუქმება: **"ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ. მონაგებსა და მამულებს ჰყიდდნენ და უნაწილებდნენ თვითეულს, იმის მიხედვით, თუ ვის რა უჭირდა." (ახალი აღთქმა, მოციქულთა საქმენი, თავი 2:44-45)**

„არავინ იყო გაჭირვებული მათ შორის, ვინაიდან მიწა-წყლისა თუ სახლების მფლობელნი ყიდიდნენ მათ და გაყიდულის საფასური მიჰქონდათ

მოციქულების ფერხთით დებდნენ მას, და ეძლეოდა თვითეულს, ვისაც რა სჭირდებოდა.

ასე იოსებმაც, მოციქულების მიერ ბარნაბად წოდებულმა (რაც თარგმანით ნიშნავს ნუგეშის ძეს), ლევიტელმა, წარმომავლობით კიპროსელმა, გაყიდა თავისი ყანა, მოიტანა ფული და მოციქულების ფერხთით დადო." (ახალი აღთქმა, მოციქულთა საქმენი, თავი 4:34-37)

საქონლისა და მომსახურების გაცვლის დომინანტური ფორმა, როგორც ძველ აღთქმაში, ასევე ახალ აღთქმაში იყო ყიდვა-გაყიდვა. დაბადების წიგნის მიხედვით **(ძველი აღთქმა, დაბადება, თავი 3;19)** პირველი ადამიანების ცოდვად დაცემის შედეგად, გაჩდა უფსკრული საქონლის სასურველ და ხელმისაწვდომ რაოდენობას შორის. სწორედ ამის შედეგად , გაჩნდა შეზღუდული საქონლის ეკონომიკა, რომელიც საფუძვლად დაედო ყიდვა-გაყიდვის გზით ამ საქონლის გაცვლას ანუ ეკონომიკურ გაცვლას. შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული ეკონომიკური გაცვლა გახდა ცოდვილის მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ურთიერთსამსახურის საფუძველი.

ყიდვისა და გაყიდვის გზით მიღებულ მატერიალურ სარგებელს, სულიერი სარგებლისგან განსხვავებით, განსხვავებული ღირებულებები გააჩნია. უფრო მეტიც, ერთი და იგივე სარგებლის ღირებულება იცვლება სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე.

მიწიერი ღირებულების გარდა, სულიერ ღირებულებას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანისთვის. უფრო მეტიც, ეს სულიერი, ანუ ზეციური ღირებულება მისთვის ნამდვილი ღირებულებაა. ის, ვინც მიჰყვება ქრისტეს სწავლებას, უყენებს საკუთარ თავს

ზნეობრივ ზღვარს ქრისტიანული მორალის ძალიან მაღალ დონეზე. სწორედ ეს ზნეობრიობა ანიჭებს მიწიერ სიკეთეებს სულიერ ღირებულებას.

სოლომონის იგავებში ქველმოქმედება შედარებულია ღმერთისთვის მიცემულ სესხთან: **„ღარიბ-ღატაკის განმკითხავი სესხს აძლევს უფალს და ის მიუზღავს სამაგიეროს“ (ძველი აღთქმა, იგავნი სოლომონისა, თავი 19:17)**

სულიერი ფასეულობების პრიორიტეტი გაძლიერებულია ახალ აღთქმაში. თავისი სამქადაგებლო მსახურების დასაწყისში იესო ქრისტემ, უდაბნოში მარხვისას, გადაიტანა ადამიანისთვის სამი ყველაზე ძლიერი ცდუნება: სიმდიდრე, დიდება და ძალაუფლება. სიმდიდრის ცდუნების დროს ის ერთმნიშვნელოვნად საუბრობს სულიერ, ზეციურ ღირებულებებზე და მიწიერი, მატერიალური ფასეულობების მეორადობაზე:

„მაშინ მიადგა მაცდური და უთხრა: თუ ძე ხარ ღმრთისა, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: დაწერილია: არა მხოლოდ პურით იცოცხლებს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან“ (ახალი აღთქმა, მათეს სახარება თავი 4:3-4).

თავის მრავალრიცხოვან შემდგომ ქადაგებებში იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ადამიანს არ შეუძლია ემსახუროს ორ ბატონს - ღმერთს და სიმდიდრეს, მას შეუძლია ერთგულად ემსახუროს მხოლოდ ერთ მათგანს:

„არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც.“ (ახალი აღთქმა, მათეს სახარება თავი 6:24).

სიმდიდრე შეიძლება იყოს საშუალება ღვთის მსახურებისთვის. თავის ერთ -ერთ ქადაგებაში მაცხოვარი გვასწავლის, რომ ხსნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქველმოქმედება :

„მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, კურთხეულნო მამაჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ. მაშინ მართალნი პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ანდა მწყურვალი და გასვით შენ? როდის გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანდა შიშველი და შეგმოსეთ შენ? როდის გიხილეთ შენ სნეული, ან საპყრობილეში, და გინახულეთ? მიუგებს მეუფე და ეტყვის მათ: ჭეშმარიგად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ. მ ა შ ი ნ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული. რადგან მშიოდა და არ მომეცით საჭმელი; მწყუროდა და არ მასვით;უცხო ვიყავი და არ შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავი და საპყრობილეში, და არ მინახულეთ. მაშინ ისინიც პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი, ან მწყურვალი, ან უცხოდ მყოფი, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში და არ გემსახურეთ? მაშინ მიუგებს და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ. და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი - საუკუნო სიცოცხლეში.“ (ახალი აღთქმა, მათეს სახარება თავი 25:34-46).

ახალი აღთქმის წიგნებში არაერთხელ არის ნახსენები, თუ როგორ ემსახურებოდნენ ქრისტეს მიმდევრები მას და მის ღვთისმოსავ მოწაფეებს თავიანთი ქონებით და როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს თემების შიგნით **(ახალი აღთქმა, ლუკას სახარება თავი 8:3).** მდიდარმა არიმათიელმა კაცმა, სახელად იოსებმა, თავის თავზე აიღო ჯვარზე გაკრული იესოს დაკრძალვის ხარჯები **(ახალი აღთქმა, მათეს სახარება თავი 27:57).** ძოწეულით მოვაჭრე და ღვთისმოშიში, ღვთისმოსავი თიატირელი ქალი, სახელად ლიდია, თავისი ქონებით ემსახურებოდა პავლეს და მის მოსწავლებს **(ახალი აღთქმა, მოციქულთა საქმენი,**

თავი 16:14-15) . მოციქულთა საქმენი შეიცავს, მოკლე, მაგრამ საინტერესო ინფორმაციას, თუ როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს იერუსალიმის ადრეული ქრისტიანული საზოგადოების წევრები:

„ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ.

მონაგებსა და მამულებს ჰყიდდნენ და უნაწილებდნენ თვითეულს, იმის მიხედვით, თუ ვის რა უჭირდა.“ (ახალი აღთქმა, მოციქულთა საქმენი, თავი 2:44-45)

სამოციქულო საზოგადოების წევრებისთვის მატერიალურ სიმდიდრეს როგორც მიწიერი, ასევე ზეციური ღირებულება ჰქონდა. ისინი აფორმებდნენ გარიგებებს საზოგადოების არაწევრ ადამიანებთან და ამავდროულად, ძმებთან ურთიერთობისას: **„ ხოლო მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული ჰქონდა და ერთი სული, და არავინ იტყოდა საკუთარ ქონებას თავისად, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ. (ახალი აღთქმა, მოციქულთა საქმენი, თავი 4:32).** მოციქული პავლე ადასტურებს რომ მაკედონიელი ქრისტიანები მატერიალურ დახმარებას უწევდნენ თავის პალესტინელ ძმებს: **„ რადგანაც ვმოწმობ, რომ შეძლებისდაგვარად გულუხვნი იყვნენ და უფრო მეტადაც.“ (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი 8:3)** როგორც მოყვასისადმი სიყვარულის მაგალითი, მაცხოვარმა ერთ -ერთ ქადაგებაში მოიყვანა მოწყალე სამარიელი, რომელიც ზრუნავდა სრულიად უცნობ ადამიანზე , რომელიც მძარცველებმა სცემეს **(ახალი აღთქმა, ლუკას სახარება თავი 10: 30–37).**

მატერიალური სიმდიდრის სულიერი ღირებულებების პრიორიტეტიდან გამომდინარე, ქრისტიანული სწავლება მიმართავს ქრისტიანს გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა სულიერი ინვესტიციების განსახორციელებლად. ქრისტიანები, რომლებმაც მიაღწიეს სულიერი სრულყოფის მაღალ დონეს, თავიანთ ქონებას ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ მოუწოდა მათ სალოცავად ასული მთაზე ქადაგებისას:

„ყველას, ვინც კი გთხოვს, მიეცი, და ვინც შენსას წაიღებს, უკან ნუ მოსთხოვ.

როგორც გინდათ, რომ გექცეოდნენ კაცნი, თავადაც ისე მოექეცით მათ.

თუ გეყვარებათ თქვენი მოყვასნი, რას მიითვლით მადლად? რადგან თავიანთი მოყვასნი ცოდვილთაც უყვართ.

და თუ კეთილს უყოფთ თქვენს კეთილისმყოფელთ, რას მიითვლით მადლად? რადგან ცოდვილნიც ასევე იქცევიან.

თუ ასესხებთ იმათ, ვისგანაც დაბრუნების იმედი გაქვთ, რას მიითვლით მადლად? რადგან ცოდვილნიც აძლევენ სესხს ცოდვილთ, რათა დაიბრუნონ ერთი იმდენიც.

ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ; და დიდი იქნება თქვენი საზღაური, და იქნებით უზენაესის ძენი; რადგან ის კეთილმოწყალეა თვით უმადურთა და უკეთურთა მიმართ.“ (ახალი აღთქმა, ლუკას სახარება თავი 6: 30–35).

მაგრამ იმ ქრისტიანებისთვისაც კი, რომლებმაც მიაღწიეს სრულყოფილების მაღალ ხარისხს, მატერიალურ ფასეულობებს მიწიერი ღირებულება ჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნებოდა მსხვერპლი, არ იქნებოდა ნებაყოფლობითი არჩევანი, არ იქნებოდა გამარჯვება ცოდვაზე საკუთარ თავში. თუმცა ეს მიწიერი ღირებულება მათთვის უმნიშვნელო იყო მომავალი ცხოვრების უსასრულო კურთხევასთან შედარებით. მსგავს არჩევანზე საუბრობს მაცხოვარი იგავში ადამიანზე, რომელმაც იპოვა ყანაში დაფლული განძი და ვაჭარზე, რომელიც ეძებდა კარგ მარგალიტს, რომლებმაც გაყიდეს ყველაფერი რაც გააჩნდათ, რათა შეეძინათ მათთვის გაცილებით დიდი ღირებულება - ყანა, რომელშიც განძი ეგულებოდა და იშვიათი მარგალიტი. **(ახალი აღთქმა, მათეს სახარება თავი 13: 44–46).**

მაგრამ ყველა ქრისტიანს არ შეეძლო ასე მოქცევა. განსაკუთრებით რთული იყო ამის გაკეთება მათთვის, ვისაც დიდი ქონება ჰქონდა . ამიტომაც, ეუბნება მაცხოვარი მდიდარ ჭაბუკზე თავის მოწაფეებს :

„ხოლო იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მდიდარი ძნელად თუ შევა ცათა სასუფეველში.

ამასაც გეუბნებით თქვენ: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში."(ახალი აღთქმა, მათეს სახარება 19: 23–24).

წმინდა იოანე ოქროპირის ნაწერებში და სხვა პატრისტიკულ თხზულებებში შეგვიძლია ვიპოვოთ ქრისტიანებისადმი მიმართული გაფრთხილებები და შეგონებები, რომ არ იტვირთონ საკუთარ თავზე ქველმოქმედების ისეთი ტვირთი, რომელიც მათი სულიერი ძალების მიღმაა. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ მიმართვაში ადასტურებს, რომ :

„ისე ნუკი იქნება, რომ სხვებს ლხინი, ხოლო თქვენ - ჭირი, არამედ თანასწორობით იყოს.

ამჟამად თქვენმა ნამეტმა შეავსოს მათი ნაკლულება, შემდეგ კი თქვენი ნაკლულება შეივსოს მათი ნამეტით, რათა არ დაირღვეს თანასწორობა.

რადგანაც დაწერილია: „ვინც ბევრი შეაგროვა, არ მოსჭარბდა, და ვინც ცოტა, არ დააკლდა". (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი 8:13-15) წმინდა იოანე ოქროპირი კიდევ უფრო კატეგორიულია: „ვინც სხვას გულმოწყალებას უცხადებს, უნდა გაიხაროს და არ დამწუხრდეს ... **„თუ თქვენ დარდობთ, რომ თქვენ სხვა გადაარჩინეთ მწუხარებისგან, მაშინ თქვენ აჩვენებთ უკიდურესი სისასტიკისა და არაადამიანობის მაგალითს. სჯობს არ მიაწოდო, ვიდრე მიაწოდო ამ გზით ... თუ არ გჯერათ, რომ დიდი საგანძური დევს თქვენთვის სამოთხეში, მაშინ ნუ დაიხარჯები "**

დასკვნა

ბიბლიაში და ქრისტიანობასთან დაკავშირებული ნაშრომების ავტორების მიერ თვალნათლივ დაყოფილია სულიერი და მატერიალური სიკეთეები. პირველი, რომელსაც აქვს შეუდარებლად დიდი და ამასთან ყველასთვის თანაბარი ღირებულება, არ შეიძლება იყოს ეკონომიკური გაცვლის საგანი და წარმოადგენს მხოლოდ უფლის საჩუქარს. შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული ეკონომიკური გაცვლა გახდა ცოდვად დაცემის მდგომარეობაში მყოფი ადამიანების იძულებითი სამსახური. ასეთი გაცვლის საფუძველი დაეფუძნა გაცვლილი საქონლის ღირებულებების შედარებას. გაცვლის დროს, ყიდვა გაყიდვის პროცესში მიღებულ მატერიალური სარგებელს სულიერი საქონლისგან განსხვავებით, განსხვავებული ღირებულებები აქვს.

განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი მათთვის, ვისაც სურს თანამედროვე ეკონომიკისა და მართლმადიდებლობის შეთავსება. ხომ არ ნიშნავს ეს ღმერთისა და მამონასათვის ერთდროულ მსახურებას? არავისთვის დასამალი არ არის, რომ დღეს ეკონომიკური თეორია ნაკლებადაა დაკავებული ეკონომიკის ზნეობრივი არსის გააზრებით. ამ ზნეობრიობის ბურჯები კი ხშირ შემთხვევაში ნაკლებად ადამიანურია. სამყარო მიდის არა იმ გზით, რომელსაც მიუთითებს ქრისტე. ადამიანები, რომლებიც თითქოს ქრისტეს მიმდევრები არიან, ირჩევენ არაქრისტიანულ ეკონომიკურ სისტემებს. თუმცა, ჯერ კიდევ გვხვდება ამ სისტემაში მოწყალებისა და სიყვარულის ელემენტები...

თუ გულახდილნი ვიქნებით, არა მხოლოდ ეკონომისტები, არამედ სხვადასხვა პროფესიის ქრისტიანებიც უკან იხევენ მამონას შემოტევისას. წმინდა ოქროპირი, ჯერ კიდევ მე–4 საუკუნის ბოლოს ქრისტიანული ბიზანტიის დედაქალაქში, კონსტანტინოპოლში, გამოხატავდა სინანულს იმის გამო, რომ „ ფულისადმი გაშმაგებული სიყვარულის გამო ყველაფერი დაიღუპა". ნუთუ ქრისტიანობა ვერ შეძლებს მამონას ძლევას?

ჩემი ღრმა რწმენით შეძლებს, თუ ეკონომიკური თეორია და სამეურნეო საქმიანობის ფილოსოფია იპოვიან თავის თავში ძალას, და სახარებისეულად შეხედავენ სულიერ და მატერიალურ სიკეთეებს.

ლიტერატურა:

1. ბიბლია, თბილისი, „პალიტრა L“, 2013
2. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/igavni/igavni-30.htm
3. Учение Св. Иоанна Златоуста и богатстве, бедности, собственности и милостыне http://chri-soc.narod.ru/zlatoust_main.html
4. https://bible.by/
5. Горбунов А.Н. Знакомство с библией-М. Прогресс-Традиция, 2016
6. Яссман, Л.В. Духовность личности: Учеб. пособие / Л.В. Яссман, Н.В. Марья-сова. – Хабаровск: Изд-во ДВГУПС, 2005
7. Мунье Э. Персонализм. М.: Искусство, 1992

The Bible about Spiritual and Material Values

Merab Mikelashvili
Academic Doctoe of Economics, Professor
Tbilisi Free Academy, Professor at Georgian Technical University

SUMMARY

The ideas about the basis of economic exchange and material values are given in The Old Testament and The New Testament, both of which dilimit material values from spiritual values. Spiritual values cannot be the subject of economic exchange, which is based on labor apportion - forcing humans serve each other after commiting sins.

Spiritual development means more than being modest, extricate from sins and confessing. It contains forming kindness, improving mind, gaining knowledge, having aesthetic feelings and perfecting morale. The mind and feelings aiming to comprehend the world created be the God brighten humans' souls and help be kind to others. This is the base of how Christian love - the fundamental principle of Christianity - is formed.

Keywords: values, material value, spiritual value, spiritual benefit, material value